ლენინგრადი. 8 მაისი.

ს.მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა მატჩი ადგილობრივ “ადმირალტეეცსა” და თბილისის “დინამოს” შორის.

თამაში დაიწყო დინამოელთა სწრაფი შეტევით. თავდამსხმელებს ჰქონდათ რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა. მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები კარში არ იყო ზუსტი. ამან საშუალება მისცა “ადმირალტეეცს” ხელთ აეღო ინიციატივა და იერიშზე უკვე ლენინგრადელები გადმოვიდნენ. მალე ანგარიში გახსნა დენისოვმა, ხოლო ივანოვმა გაიტანა მეორე ბურთიც – 2:0. ტაიმის დასასრულს მელაშვილმა გაიტანა ერთი საპასუხო ბურთი – 2:1.

შესვენების შემდეგ თბილისელები ხანგრძლივად უტევდნენ მოწინააღმდეგეს, მაგრამ განმეორდა პირველი ტაიმის ისტორია: დარტყმები კარში კვლავ არაზუსტი იყო. გარდა ამისა, დაცვაში დაშვებულ იქნა რამდენიმე შეცდომა, რომელთაგან ერთ–ერთი მასპინძლებმა კარგად გამოიყენეს და ანგარიში გახდა 3:1. “ადმირალტეეცმა” მოიპოვა პირველი გამარჯვება გათამაშებაში.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა – 3:2.

“ლელო”, 11 მაისი, 1958 წ.